





- 1, მეთაური: ა) მომქმედთა უსპარეზობა;
ბ) მკვლართ ნუ გვივლებენ! 1
 - 2, ზალ. ცირეკიძე — ცეცხლი 2
 - 3, ბაბილინა — * * * ლექსი 3
 - 4, იოსებ არიმათიელი — ზავშეების მე-
საიღუმლე — შიო მღვიმელი 3
 - 5, აკაკი — უბრალო საუბარი (ნაწვევტი) 3
 - 6, კატო მიქელაძე — პარიზის ღამის
სურათი, ლექსი 5
 - 7, პ. დვანელი — უმეცრების მსხვერპლი
(სოფლის ცხოვრებიდან) 6
 - 8, კ. ჭიჭინაძე — მტრედის ფერი თვლი 8
 - 9, ილ. მოსეშვილი — ობოლი ფიქრი 3
 - 10, ი. სიხარულიძე — გაუფურჩქნელი
ვარდი 3
 - 11, აკაკის ნაკვეთები 9
 - 12, იოსებ იმედაშვილი — სამაგალითო
სკოლა 10
 - 13, ანგარიში ქარ. ქალ. საქ-საზ. ტრა-
კერვის სკოლისა 12
 - 14, ზ. ჩხიკვაძე — ბ. ი. ჩხიკვაძე 3
 - 15, ლალო ბზვანელი — ძვირფასი წიგნი 13
 - 16, ქართული სახიობა (რეცენზიები) 14
 - 17, წერილი ამბები: წერაღა რედაქციის
მიმართ 3
- სურათები: ომის გვირგვანი, შიო მღვიმელი,
გიორგი ტყონდიდელი (მე XII საუკუ-
ნიდან), იესო ქრისტე ეკლის გვირგვი-
ნით, ვ. პ. მგელაძე. — განცხადებანი.

ზ. ჭიჭინაძის

აჭარის შესახები წიგნები

1. ოსმალეთის ყოფილი საქართველო ფ. 50 კ.
 2. მუშაჯირი ანუ დიდი გადასახლება
ქართველ მაჰმადიანთა ფ. 50 კ.
 3. ქართველ მაჰმადიანთა სოფლები
საქართველოში ფ. 60 კ.
- ისყიდება „განთიადი“-ს კანტორაში გ.
შ. მახარაძესთან (მიხეილის პრ. № 18)
ფოსტით მისამართი: Тифлиси, 2-я Тумановская, № 32. Зах. Чичинадзе — გინც
ავტორისაგან — ზ. ჭიჭინაძისაგან — გაიწერს
გასაგზავნი ფასი არ გადახდება.

1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი „ს ა გ უ რ ბ ლ ი“

ფასი: ერთი წლითი წლით 8 მან. ნახევარ-
წლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი
5 კ. დამატებიანი — 7 კ. ესევე გაზეთი დაუ-
რიგდებთ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.
წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის
მისამართით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობ-
ლო“ თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.
გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი
დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდე-
ბულია თანამგზავნობთა რიცხვის გამრავლებაზე.
ესთხოვთ ომში დაქრილთა და მოკლულთა ნა-
თესაყ-მეგობრებს მოგვაცოდონ მათი სურათები.
ესთხოვთ აგრედვე ადგილობრივ დაწესებულე-
ბათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ
სურათები.

მოწვეული არიან ცნობილი და საუკეთესო
შწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღე-
ებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე

ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ვინც კურხალის ხელმოსაწერ. კუთვნილ
კადასხადს არ შემოიტანს, მოძაგალი
კვირიდან კურხალი აღარ გაეგზავნება.



№ 11

შელიწადი
მისამდე

წლიურად 5 მ., ხაზივარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: თიფლისი რედ., „Театრი да Цховრება“ I. Имедашვილი

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერიანი საპროტესტო წერილები.—რედ. კატორიანი პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—ლილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 11

კ ვ ი რ ა 15 მ ა რ ტ ი

1915 წ.

15 მ ა რ ტ ი

მომკმედო უასპარეზობა

იყო დრო, როდესაც ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა სათავეში საქმის ღრმა მკოდნენი იღდნენ, ახლა კი სერთო საქმეს ის უდგება სათავეში, ვისაც მეტი პირადი მოკენ ქე-მეგობარი ჰყავს...

ამიტომაც არის, რომ ჩვენში ყოველი საკულტურო—დრამატიული, სამწერლო, სამუსიკო თუ სხვა—საქმე ერთ ადგილს თუ არ გაყინულა, კუს ნაბიჯი მილოდავს წინ... მაღლობა ღმერთს, ჩვენ უკვე მოგვეპოვებინ ხელოვნების სხვა და სხვა დარგის მკოდნენი,—ნუ თუ დრო არ არის მათ სამომკმედო ასპარეზი გაუჩინოთ?!

ერთი ასეთი პირთაგანია ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი ბ. ნი ნიკოლოზ გიორგისძე ქართველი შვილი, შვილი ცნობილ კველმოკმედ-მეცენატის, ხელოვნების სხვა და სხვა დარგის კარგად მკოდნე, გამოცდილი, განსწავლული, სულით და გულით ქართველი, რომელმაც ჩვენს საზოგადო საქმეებში დიდი ღვაწლი შეიტანა არა თუ პირადი მოღვაწეობით, არამედ ნივთიერი დახმარებითაც... დღეს-კი, ეს ერთი ხანია, იგი თითქო განაპირებულა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის თავზე არ ყვირის..

ჩვენი კულტურისა და საზოგადო ჩვენი საქმეებში საქმის გულშემატკივართა ვალია, ამ კაცის უნარს, თაოსნობასა და გამოცდილებას სამომკმედო ასპარეზი გაუხსნან: იგი ფრიად სასარგებლო კაცია და მისი უმოკმედო დატოვება თვით საზოგადო საქმის ზარალია...

მკვდრად ზვიგოვლებენ!

ჩვენი თვითცნობიერების დიდებული მოძღვარი გვასწავლიდა: ცხოვრებაში დაცემული ორგავარია—ერთი, რაც უნდა ეცადო მის წამოყენებას, ტალახში ევლოდა, მეორე-კი ცდილობს ზეწამოდაგომას, მაგრამ ხელის გამწოდებელი არავინა ჰყავსო... თუ ნახო ასეთი დაცემული—პირველს წიხი ჩაჰკარ, ხოლო მეორეს ხელი სტაცე და წამოაყენეო...

ასეთი მაგალითები ხშირია არა თუ კერძო აღმანიანთა, არამედ მთელ ერთა ცხოვრებაშიც.

ვიდრე ჩვენი სამშობლოს დროშა-აღამი მაღლა ფრიალებდა, ვიდრე ქართველი ღირსეულად იცავდა თავის ვინაობას, მანამდე მას ყველა მოწიწებით ეპყრობოდა, ხოლო როდესაც ისტორიის ჩარხის ტრიალმა დროებით დაამუხლისთავა, ბრალიანი და უბრალო წამოგვისა და ლამის არის ფეხქვეშ გაქელოს.

დაგვიწყეს ქირნვა... ჯერ იყო და ძალით გამამპვიანებული საქართველო გავითიშეს, ქართველ-კათოლიკეთა არსებობა საკამათოდ აქციეს და მათი დიდი წაწილი ჩამოგვაშორეს, ჩამოგვათალეს აგრედვე ქართველი გრიგორიანები...

ეს რომ არ იკმარეს, ამას წინად მთელი აქარა-ქობულეთი, ჩვენი სისხლი და ხორცი,

განდგომილად გამოაცხადეს, ხოლო როდესაც დამტკიცდა, რომ აპარტინი კი არ განდგომილან, არამედ უკუღმართ მართველთ აუწეუ-დაუწეწნით, მაშინ... მაშინ შეთხზეს ქართველი ერის დაღატაკის ზღაპარი და მსოფ-ლიოს მოჰფინეს..

ქმარა მკონარეობა და დაუღვერაბა! ქართველ ხალხს ჰმართებს, აშკარად მოითხოვოს, რომ არა თუ უარპყუნ ჩვენს შესახებ შეკრებილი ქორები*, არამედ უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრან და დიდცვან იმ ერის სახელი, ეროვნული მთლიანობა და მიწა-წყალი, რომლის შვილები ამ უმაჯალითო ომში ასეთის უმაჯალითო გვირობით იბრძვიან და იხოცებიან...

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ ცოცხლობს უწევენ ანგარიშს, მკვდრებს-კი ასამარებენ...

სეცხლი

დიდლილი, ოფლიანი დაბრუნდა შინ .. ისევ დაფეკვილი სახლი, წვიმის და ქარის უხვი მასპინძელი.. რა ხანია ეხვეწება მოხუცს, — მამე, მთაში წაეალ, ფიცრებს ჩამოვიტან და ახალ სახლს ავაშენებო, მაგრამ ვერ დაიყოლია.

და ყოველ საღამოს დაცინით უგზვდება ხოლმე კბრლებ ჩაცვიენული ქობი... ახლაც ისე... მკლავის კუნთები აუთამაშდა, ჯავრებს; ერთი მოქაწევით უნდა მიღწეოს გაბავლებული ბებრუცანა, მაგრამ მამა ეცოდება: მოხუცს თავისი ნაშენი უყვარს...

კარი შეაღო.

— შვილო, ისევ ჩამოღის წყალი, — მიაგება მამამ, — მე მუხლები მიკვეთება. აღი, შვილო, და გააკეთე.

შვილმა ენაზე კბილი დიქირა და მორჩილად ავიდა სახურავზე.

ვანშობენ. გარედ ქარი მატულობს; ხუმრობით სახლში-აც უბერავს, სანთელს ეთამაშება.

— მარცხს იზამს ეს ოხერი. — სთქვა მოხუცმა.

— ნეტა სახლს არ დაგვანგრევდეს თავზე და .. წაიპუტუნა ბებიამ და ლოცვა დაიწყო.

— გეუბნებით ახალ სახლს ავაშენებოქო და არ მიჯვერიო. — გაბედა შვილმა.

მოხუცმა ეშმაკურად ჩაიცინა:

— ჰი, ჰი, ჰი .. რა კარგია ახალგაზრბა! მე ჩემი სიცოცხლე მოვანდომე ამის აშენებას და შენ სულის შებერვით აპირობ ახალის განენას?.. არა. შვილო, ეცადე ეს ძველი არ გადაგეცალოს თავზე და ახლის იმედი არა მაქ.

რადას იტყოდა შვილო, ვის დააჯვრბდა .. გულში კი გაუთაყეცდა სიძულვილი სახლისადმი... სული ეხუთება ამ დაღმევილ ქერკვეში!

ჩუ! ნამწვრის, სუნი დაღა...

აწრიოდენ.

— სახლი იწვის! — საშინელი ხმით დაიყვირა მოხუცმა.

— იწვის!! — თავხარი დაეცა ბებისა.

— იწვის, იწვის!!.. დამალი იწვის...

— ხარობს შვილი... —

აღი მთელ სახლს მოსდებია. დანაკვერცხებულები საძირკვლები ტყრციალით ინგრევა...

მოხუცი სასოწარკვეთილი მიშტერებია თავის ნაშენს... ბებია ლოცულობს .. შვილი იღიბება.

ალ. ცირეკიქ

* * *

იგი ბრძოლიდან ვეღარ დაბრუნდა, ვინ დაბრუნდება ან იმის გარდა? და ქეთოც გლოვით მოსთქვამდეს უნდა: „რა კარგი იყო! როგორ მიყვარდა!“

ომში წასვლისას... ომში წასვლისას სამშობლოსათვის ვერ აღიკვეცა, — ამიტომ ვგლოვობ სიკვდილსა მისას!.. ამიტომ ესე განრისდა ზეცა.

ბაბილინა

* 12 მარტს დებეშთა სააგენტომ გავრცელებულ დებეშის საფუძვლიანობა უარპყუნა.

გავშვების მესაიდუმლე



შიო მღვიმელი

ვის არ გაუგო-
ნია ჩვენი ბავ-
შვების საყვარე-
ლი, მოზარდთა
სულისა და გუ-
ლის მესაიდუმლე
მგონის შიო მღვი-
მელის სახელი?!

უკანასკნელი
ოცდაათი წლის
განმავლობაში იგი
დედის ძუძუსთან
ერთად აწვეთებდა
ბავშვებს მამულის,
ბუნების, ურთი-

ერთის გატანის, ძმობა-ერთობის, გმობობის,
ჩაგრულ-დევნულთა და სხ. საყვარულს... ვერ
გადვლით თითქმის ვერც ერთ ქართულ
საბავშვო ჟურნალის ნომერს, რომ იქ „ძია
შიოს“ ლექსი არ შეგხვდეთ. მისი საბავშვო
წიგნაკები, განსვენებულ გიგო ტატაშვილის
მხატვრობით გამოცემული: „სამი ცეცქი“,
„ძუნწი“, „ოქროს თვითავი“ და სხ. უკვე
საყოველთაოდ ცნობილია და რამდენჯერმე
დაბეჭდილი. საბავშვო მწიგნობრობის გარდა
შიო სხვა დარგშიც ცნობილია და საპატრიო-
ალაგიც უპირავს ქართველ მოსაინათა შო-
რის... საყურადღებოა, განსაკუთრებით, მისი
საგმირო და დრო-ყამის დამახასიათებელი
ლექსები.

წელი უკვე ოცდა ათი წელიწადი სრულ-
დება, რაც პატრიოტული მწერალი თავის კალ-
მით მოზარდ თაობას სულიერად ჰკვებავს. ამ
დღის აღსანიშნავად მის პატივის მიცემულთა გა-
ნუზრახვებთ სალიტერატურო დღეა გამართონ,
რომლის შემოსავალი მიეცემა დღეს გაქირ-
ვებაში მყოფ მწერალს.

საზოგადოების ვალია, ნივთიერი მად-
ლობა გადაუხადოს იმას, რომელიც მთელი
ოცდა ათი წელიწადი სულიერად ემსახურე-
ბოდა ჩვენს მოზარდ თაობას და მით საშუა-
ლება მისცეს, რომ უფრო მხნედ განავრძოს
თვისი ჩანგის ჟღერა ..

ვიზრუნოთ ცოცხლებზე და დამსახურე-
ბულ მოღვაწეს სიკაცხლეშივე მივუძღვნათ

ნათლი მინც, რასაც სიკვილის შემდეგ
არ დაუზოგავდით...

ჩვენის მხრით კი დამსახურებულ მგო-
სანს ვუსურვებთ დღეგრძელობასა...

იოსებ არიმათიელი

უბრალო საუბარი

(ნაწყვეტი)

„ჩემო წაღკოტის შეენებუ! რატომ ად-
რინდულად აღნა ჰუყავი? ან ნაყოფს არ იძლევი?
და თუ იძლევი, იმასაც უყარგის?“ — დაკეითს
მებადე ხიდას-ხეს.

— შიტომ რომ დაგჰანდი! — უნასუსა
დაშჰანამა სემ. — მას შემდეგ რაღა კი დედა-
მიწამ შიდაღატა, ცამ დამსეტევა, ქარმა შემარ-
ხაა — რაღა ძალი უნდა შემჩნეოდეს?..

— ეგ კი, მკვრამ განა ცოტა მიწაღია
შენთვის?

— მიწაღია? ჰჰმ!.. შენ რომ საჰკაჰელით
გარედან მიშხაჰუნა, ის შინაგან სატკივანს რას
არგებს? ანა დაკეითრი ჩემ შტკაბეს!.. ზოგი
გამხმარა, ზოგიც ახლა ჰკნება: თვითონაც
უნაყოფა და სხვებსაც უშლის! — შენ კი ზნარ
დაკაიდა და შემოჰურებ. რატომ არ შიტარნ
ცუღს და არ გადამსხევაჰ იმ უსაშველო ტა-
ტებს, რომ შით ადგილზე ახადმა ამოჰაროს?
მაშინ ნახეჰ თუ რა ნაყოფს გამოჰედეს!

— განა ეგ კადეჰ შესაძლებელია?

— ჯერ გადეჰ, სინამ ძირი მაგარი მაქეს.
ანა ნახე ერთი რთვარა მაქეს ფესეგემა ცაბაჰა-
ჯგინებუღი. შენ მხოლოდ სელი შემწვევე და
სხვა შე ვიგაო!..

დაიჰჯრა მებადემ, ახსრულა რჩევა და ხე
მან გახარა.

დაას!.. ხემ გახარა, მკვრამ შენ რა გა-
გახარებს, წაღკოტის მსკავსო, ჩემო შატრა
ქვეუანავ? უმერება შენი შინაგანი წელღულია
და უგნურება გტარავს!.. ვინ არან და სად
დაეს შენი მებადეგეი, რომ სულზე მოგასწო-
რინ და გამოგატრუნინ? შინაღლია, კარს გე-
ვეჰიან, სივერულას და ერთველებასაც ჩემუ-
ღობენ შენსს, მკვრამ ეს უაღაფერი მათიეჰ

თავიყოკრებობის ნყოფი, სხაბრად ჩხრებებში
 ჩასმული. დღევანდელი ჩვენი წარა-მარა დრია-
 ლი: „გუმბარჯის საქართველო!“ და „მრ-
 ვალ-გუმბარჯი რა არის, თუ არ სწავნაქალით
 შაბაზანის გარედან შემხანებებს? თავ-მომწინედ
 რომ დამტკნარ შტოებს ვებატონებით და
 ფესვები კი ღამის ამოკვდით, ხუ თუ ეს
 ზრის გონიერული ტირისუფლობა? ზმრავლის
 მეტეველებით ვერაფერი ცხადდება, ბრძანებს
 უფალი, და ჩვენ კი ბრადე სიტყვებისა ვართ
 ცაქტეველი... ახა ვის უჭირავს ხელში ის ცუ-
 ლი, ის მახვილი, რომლითაც უნდა ჩვენს დღე-
 ვანდელ ცხოვრებას გამხარია შტოები მოცა-
 ლის, ღვარძლისა და ეკლს ძირი უგდოს, ხორ-
 მტეი მოჭკუეთოს, რომ დამტკნარი განედლოს?
 ეს ცული და მახვილი არის ის შეგნეული სი-
 უფრული და ერთგულება ქვეყნისა, რომელსაც
 თავდადება ქვეყა და სიმართლით გაღესილი,
 უსასიდელოდ, უშეშრად, შირდაზირა სტრის და
 ქვეყთავს... ბრალი ვის უნდა დავსდავთ? ვის
 უნდა გავმტყუნოთ? ხალხი თუ მისი მეთაურე-
 ბი? რასაკვირვებელია მეთაურები!.. სენიების დე-
 კანოზის ქვეითებს; რაკორა მიღვედლი ხარ,
 რომ არც კითხვა იცო, არც წერა და სახეპიროე-
 ბიც გადაეცხეფურებიათ?

— კვ უფალიერი მართალიაო, მაგრამ
 ხალხს რომ სჯერა, შენ დარწმუნებული ვარ ჩემ
 დეკანოზობაზე... სთქვა და ჩამოიყვანა წვე-
 რებზე ხელი. ვინც ამ სენის აზრზე დადგება
 ის, რასაკვირვებელია, დავაურებს, რომ ჩვენ შე-
 თაურებიც გვეზან და მოწინავე დავიც, მაგრამ
 ჩვენ კი ჩვენდა თავად უარსა ვუყოფთ მათ,
 რომელთაც, მართლად და სჯანების დეკანოზებს-
 ეთ უფროდ ჩაუგდათ ხელში წინამძღობობა
 და დონსულებს წინ ედობებიან... (ხვრ აქ სა-
 ზობაგადოდ შემტრესობაზე ვამბობთ და არა იმ
 თვითთ-ორთლახე, რომელთაც რ შეეხებთ ეს
 სემო თქმული). ხშირად ნახავთ ჩვენში რომე-
 ლიმო სურთ და წესებულუბაში მისთანა მეთაურ-
 ის და წინამძღვარს, რომელსაც დღე წარსულში
 გამოუჩინა თავი და ვერც მომავალში გამოი-
 ჩინს!.. გვივირს და კეთილბეა შენს თავს: ამ
 კაცს წინ რა მიუძღვის?—არაფერი!—უკან? არა-
 ფერი! მამ საზოგადო სარბიელის ქანდაკეზე
 რომ ფარშავანგის ნაცვლად წამოუსკეუბე-

ბიათ და გაფულულ ინაუროვით იქიდან კად-
 მითაობირებანს, რა მოხეხის? რა მოხეხის და
 ის შირდად ეგობსტობა, ის უჩემან-შეიანობაა
 და ის „კულტობა“, რომელიც ჩვენ ცხოვრებას
 დღეს სასადგოვით მასდებს და სულს ჰხდის...
 ჩვენი წინამძღვრების შემტრესობა ბოძებლის
 აღხრების მიმდევარა: „თუ შე დადრ ვიქნება,
 ქვა ქვაზედგ ნულა უფილია“, და ამ გვარ
 რწმუნების კაცს განა შეუძლია, რომ კულტ გა-
 რეშე სხვა სხვატედაც ითაქროს? შტომაგ
 არის, რომ ჩვენი მოწინავეები შირს ვერასა
 ჰხედვენ, ავსა და კარეს, თუ მათი სასარგებ-
 ლო არ არის, არ არჩევენ და რთაც დავარდლი და
 ეკალი ითქვება, უკულ-ვრილად შექვემდებე-
 თითქოს და ვარდაია. ხშირად გამოვინა მათ-
 გან: „სხად გეტყვია, რომ წვრილმხებს გამოთუ-
 დეთო?!“ მართალია, უფალი თესლი ნყოფიზე
 უფრო მატრასა; შედარებით წვრილმხია, მაგრამ
 იმ წვრილმხის რა შედეგი მოაქვება, მის დადრ
 უფურებენ. ზურ კადეკ ვერ შეუგნაო, რომ თავ-
 ვის თავად, არც წვრილმხი არსებობს და არც
 სხეილმა!.. არც დიდა რამ და არც მატრასა,
 ეს უფალიერი შედარებითა წარმოდგენას... შე-
 დარებით თხსევისი მხეცები უფრო დიდები
 არიან მორიელ მხეცებზე, მაგრამ ეს მატრასა
 მტრები უფრო სავში და სავთხილად არიან
 აღმანისთავის. ღომი იმდენს რას დავალებს
 კაცს, თუ ვაფრთხილებუბობა, რამდენსაც უძ-
 ლური და უხინარი მატრას იკობობა, ანუ „წი-
 რის-ქა“, რომელიც რ დია კი ჩამდრება და
 დაბოჯებს აღმანის გავში საშუალებად დარ-
 იძლევა. ბევრჯედ დავუნიდათ ჩვენთვის და უბ-
 თაც აუდივართ, რომ წვრილმხის რამებს გამოდ-
 გობადა და რსაკადრისაო? ჩვენც დავგვიკრე-
 ბია: შემოვრადვართ, და შეეწებებულავართ, მაგრამ
 ის წვლილმხეცობაზედაც და დღეს ტვირ-
 თად გავწვინ სუ უცხე.

... „ოჰ, ეს დიდი სენია!.. დრო
 ირის, რომ თავი დავახებთ უსრთაო
 და უადვილად წარა მარა „რავალ-გამიერის“
 ბღავილს და საჭროს, სწორ-გზას დავადგეთ...
 შანაურობაში მივიხედ-მოვიხედოთ, ჩემთან-
 შენაობაზე“ ხედა ვადიდა და სადინდ უნ-
 და იეთს, მოუვარეს მოუფრულად მივებობით და
 მტერს მტრულად დავუხედო!

პატრიარქის სურათი

ღელავს, ბობოქრობს დიდი ქალაქი,
ეტლი ეტლზედა მიქრ-მოქრიალებს;
ვლექტრო სხივში გაბრწყინებული,
სუფრასზე ხალხი გზნებით ღრილებს.

მუსიკა უკრავს სატრფიალო ჰიმნს,
ქუჩის დარბაზი კარ-გაშლილია,
ღამის ვაჟარი მუშუტარს დაეძებს,
ცეკვავს .. კისკისებს... მოწყენილია..



გიორგი ჭყონდიდელი

დავით აღმაშენებლის (1080—1125) მოძღვრით მოძღვარი, ოსეთში იცხოვრა 12 წ., დახსნა სასულიერო და სამონასტრო სკოლები, ოსთაგან ამაზღებდა სამღვდელი პირებს, ოსთა შორის ქართული წერა-კითხვა გავრცელა, გარდაიცვალა ოსეთში, ქართლს მოასვენეს და ახალ მონასტერში დაკრძალეს დიდის გლოვით. (ზ. ჭიჭინაძის „ოსეთის ისტორიიდან“).

სიმღერა, კოცნა, კვიელ-ხარხარი,
ოქრო და ვერცხლის ბზრიალ-წკრიალი,
აშკარად ერთად არეულია...
მსუქან პირუტყვთა ისმის ღრიალი:

— კაცობრიობის ჩვენ ვართ მნათობნი,
ადამიანის ვცნაით უფლება,—
ჩვენსა კარგზე სისხლით სწერია:
„ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

II

ქუჩისა პირად ბნელსა კუთხეში,
ნავაგი უჯრით დაგდებულია,
სანამ გასწმენდნენ, მისკენ ფარულად
მიიპარება დამშუვლია.

ჰა, მიახწია სანატრელს ადგულს,
ხელს აფათურებს სიბინძურეში,
რალაც იპოვნა და სიხარულით
ხარბად ჩაიგდო ჩუმთა უბეში.
ფცხს აუჩქარა, ბინისკენ მიდის,
ღარაჯს არ შეხვდეს—ეს ენატრება,
რადგანაც იცის კონკში გაჩვეულთ
გარეს გამოსვლის არა აქვთ ნება.
გარბის საბრალო, ვისაც სისაწყელი
ართმეული აქვს ყველა უფლება,
როცა კარგზე დაუწერიათ
„ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

III

სატუსაღოსი იღება კარი,
ჯალათს უცდიან წესის დამცველნი,
პატიმრის ლოგინს თავს დასდგომია
ციხის აფროსი, მსაჯული, მღვდელი.
კანონის მსხვერპლსა, ტკბილსა სიზმარში
მწვარ-მომავალი სულ ავიწყდება,
მის მყუდრო სმენას, ოდეს ცივი ხშით
უფროსის სიტყვა ძილში ჩასწვდება:
— „საათმა დაძკრა გამოსიყლო
კოლვანი შენი და უზნეობა;
თავ-მოსაქრელად ჯალათი გელის,
გამოიჩინე სულის მხნეობა!“
ტანს იმოსება ძილში შემკრთალი,
უშიშრად ჯალათს მიაჩერდება!
ღანის ქვეშ მიყავთ ხელმე ვაკრული...
წუთისა შემდეგ თავი ვარდება.

არც სიბრალული, არც სინანული,
გამოფიტულა გული და გრძნობა,
სისხლისა მორგეს სირცხვილით დასცქერს
თავისუფლება, ძმობა, ერთობა...

კატო მიქელაძე

ზარზი, 1907 წ.

შეხვედრის მსხვერპლი

(სოფლის ცხოვრებიდან)

I

— გია, გია, გია, სამახარობლო დაამზადე, სამახარობლო! — უთხრა ღიმილით ბებია სალომემ ფურჩაანთ ვიას და ნელის ნაბიჯით კაუჭა ჯოხზე დაბჯენილი ბურნუთის წვეთს მიუახლოვდა, რომელიც დვრეფანში შეშის აპობდა.

— რის სამახარობლო, ბებია სალომე, რის?! — ღიმილითვე მიუგო ვიამ სალომეს და სახე-გაწითლებულმა მორცხვად თავი ჩალუნა.

— ჰაი გიდი, ვითომ არ იცი რისა! — ხელი გაიქნია ბებია სალომემ და განაგრძო: — კიდევაც მალაპარაკებ. დედაშვილობამ ბედნიე⁴ ხარ, ისეთი ვაჟი ეყოლა თალალოს, ავ თვალს არ ენახებმა, ეხლავე მწყემსობა შეუძლიან, ისე ვაპკივის ლამის ქერები აპყაროს, ამა ყური დაუდგე! კარგი ძეგობაც გეკუთვნის. ერთი ემანდ რომ ქოცო *) გაქვს მიჩქამოლული, ამახადე და ყელი ჩავისევლოთ ტუბილი ღვინით. ვაჟის მამა ხარ ბიჭო, ვაჟისა! — აქ ბებია სალომემ ყური აუწია ვიას.

— მაგით რას მაშინებ, ბებია სალომე, ქოცოს კი არა, ათ კოკიანს მოგზდი, ათიანს!

— ათ კოკიანი, შვილო, ნათლობისთვის შეინახე, ეხლა კი ე ქოცოც გვეყოფა, მეტი არ გვიანდა, სხნილი იყვეს, ქოსმანა ბურჯავასუ დაგაკვლევინებდი, მაგრამ სამარხოხედაც კარგად გადავკრავთ არც ივარგებს ამ აღდგომისთვის, რომ სახლი გავწათლავე შეგყვით. იღბალი გქონიათ, დედაშვილობამ, იღბალი, წრეულს ერთი თქვენ შეგვმატათ ვაჟიშვილი და ერთიც მახოხანთ პართეს, დანარჩენთ ყველას ქალები გაუჩნდათ. — აქ ბებია სალომემ ბურნუთის კოლოფი წამობერტყა და ხარბად შეისრუტა გამწვანებულ ცხვირის ნესტოებში.

— ყველაფერს ავასრულებ, ყველაფერს ისეთი დრო ვავატაროთ, რომ ქული ქერს ვისროლოთ! — მიუგო ვიამ.

*) ქოცოს პატარა ქვევრს ეძახიან ქართლში

— შენ იცი! — წარმოსთქვა ბებია სალომემ და სარჩოდ ისევ მელიოგინესთან შებრუნდა, რომლის ხმამალალი კენესა გარეთ ვიასმა.

II

სიხარულით ფეხზე აღარ იდგა ფურჩაშვილი გია, რადგან პირველად ვაჟიშვილი შეეძინათ.

— ეხლა კი აღარაფერი მიპირს, ძმასავით მიმესწრება, ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მწუფმსობა შეედლება, რაც სარჩო შამდის ისიც ე მოჩოლებში მიმდის სამწყესურად. ეს შინაც დარჩება სახლში! — ფიქრობდა გია და თან ქვევრს ერთხილად ხდიდა სარქველს — იმ, შენ კი გენაცვალე ვაზის ძირში. შირონია, შირონი, ეს ნაკურთხი! — წარმოსთქვა ალტაცებით ვიამ და სველი თიხის ჩარქეიანით ხარბად მოიწაფა ღვინო. შემდეგ ვაავსო დიდი დოქი, დააფარა ქვევრს სარქველი და სახლში შევიდა.

— ღმერთო, შენს მოწყალეებს ნუ მოაკლებ ვიას ოჯახს! — წარმოსთქვეს ერთხმად სახლში მყოფთ, რომელნიც ძეგობაში იყვნენ მოპატიებულნი.

— ამა, დედაჩემო, სუფრა კი არ დაგვიგვიანდეს! — შიშითა ვიამ თავის დედა გაიანეს! — აიგერ ჩვენი არაკუნე **) მღვდელიც მოდის თავის ჩოხა ჩამოქმდილ დიაკვნით და შნათეც თან მოსდევთ, ღვთის წყალობა მაგათ ამ ღვინოს მოულოხინან! — ჩაიციან ვიამ

— აქა შშვილობა! — წარმოსთქვა არაკუნე მღვდელმა, როდესაც სახლში შევიდა.

— თქვენი კურთხევა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, მამო ესტატე! — მიუგეს ერთხმად ყველამ.

— შვილო, რაღა ამ ქიაკოკონობს გამართე ე ძეგობა!

— ეხლა კარგია, მღვდლო, გადავკრათ და სულ იალბუზისკენ ვავრეკოთ კულიანები! — ჩაერთა ონოფრე დიაკვანი ლაპარაკში.

**) არაკუნე მეტი სახელია.

— ჰო, შენი მამა ცხონდა, მეც ვე უნდა მეთქვა, მერე ისეთი ღვინოა, როგორც თაფლი, აბა ერთი ჭაშნიკი მიირთვით!— უთხრა გიამ მღვდელს და ღვინით საესე ჭიქა მიაწოდა.

— ყოჩად გაია! ეს კარგი ღვინო დაგიყენებია!— წარმოსთქვა მღვდელმა, როდესაც ჭიქა გამოსცალა და საჩქაროდ ოლარი გამოდიოდა. როდესაც არაკუნემ შეასრულა სამღვინო წესი, ჯვარს ამთხვია ყველა, წმინდა წყალი ასხურა იქაურობას და საჩქაროდ მოიკეცა სუფრის თავს, დანარჩონებიც ჩამწკრივდნენ.

— აბა, ბებია სალომე, მობძანდი თქვენს!— მიმართეს სალომეს, რომელიც მელლოგენსთან ახლოს ბუხარს მოსჯდომოდა.

— არა, გენაცვით, აქ თავს ვერ დავანებებ, როგორღაც გული ეფერება თალალოს. ჩემი წილი აქეთ გამოგზავნეთ.

— გული ეფერება და აი, წითელი ღვინო მოიყვანს ღვინეს!— მიუხედავად გიამს.

— კიდევაც, გია, კიდევაც, მამაშვილობამ!— კვერი დაუკრა არაკუნე მღვდელმა.

III

გათენდა ჭიაკოკონობის მეორე დღე, ესე იგი, დიდი ხუთშაბათი. კარგა მოშუად დევებულეყო, რომ ცისკრის ხარი დაირეკა. ღვინისგან გაბრუნებული არაკუნე მოძღვარიც შეიშოშვნა, გადიცვა თავის გახუნებულნი ანაფორა და გამოშტერებული გაულდა ეკლესიისკენ.

— ეტყობა გუშინ გაიღეშეოდა სადმე ე ჩვენი მღვდელი, ერთი შეხედეთ როგორ ამოვანგლულა ტალახში! ხა, ხა, ხა, ხა!.. — გაღიხარხარა ერთმა.

— გუშინ გიას ძეობა ჰქონია და იქა ყოფილა. ისე უსვამთ, რომ ყველას სუფრასზე დასძინებიათ, ხოლო ე ჩვენი მღვდელი, ონოფრე დიკვანი და მნათე ისე გამობრუნებულან, რომ სახლის გზა ძლივს გაუგნიათ!— წარმოსთქვა ერთმა.

— ღვთის წყალობა, ეგენი ჯავრს იყრიდნენ!— დაუმატა მეორემ.

— აი, მოძღვარიც ესეთი უნდა, ეხლა

ოლარს დაეძებენ, არ იციან გიასთან დარჩათ თუ გზაში დაკარგეს, ეხლა იქ წაჩერებულა ჩვენი მნათე!— წარმოსთქვა ერთმა ახალგაზღვამ, რომელიც ეკლესიიდან გამოვიდა და თავმოყრილ ხალხში ვაერია.

გლგებობა ბაას-სიცილ-ხარხარში იყო, რომ შეეცრად ზედა უზნიდან საშინელი ტირილ-წიოკობის ხმა მოისმა და ჩოჩქოლი.

— კაცო, აქი საცოდვი გია არ ამოწყვეტილა ცოლ-შვილით!— წარმოსთქვა ერთმა ახლად მოსულმა გლგებმა, დანარჩენთ-კი ცნობის მოყვარეობით ყური დაუგდეს. — გუშინ ხომ ჭიაკოკონობა იყო, გიას არ დაუნთია ჭიაკოკონა, დავიწყებია, იმის ცოლი თალალო ხომ ახალი მშობიარეა და ი კუდიანებიც ხომ მშობიარეს ემტერებიან. ჰო და წუხელის კუდიანებს დაუხწვიათ ისიც და ახლად დაბადებულიც. გიას დედა გაინე რომ ამღვარა დილით, საწყალი თალალო ზედ თავის შვილზე გადაწოლილი ნახა თურმე დამხვალა.

— ეჰ, აი დიდება შენთვის ღმერთო, ალბად მართალია თორემ, რაღა ამ კუდიანობის დღეს დატრიალდა ეს საცოდობა!.. წმინდა გიორგიმ დასწყველოს ეშმაკი, გამოგონია ახლად დაბადებულს და მშობიარეს მანვე სულელები ემტერებიანო. შარშანწინ არ იყო ჩვენებიანთ სესიას აკვანში გაეგულა ბავშვი. დედას რომ ველარ დაეძინებინა, ხაშაში ექმია ბლომად, დაეძინებინა, მაგრამ მეორე დღეს გაგულული დაუხვდა დედას აკვანში, — სთქვა ერთმა ხანში შესულმა გლგებმა დაბეჯითებით.

ჩქარა მთელმა სოფელმა გიას სახლში მოიყარა თავი და ერთი მითქმა-მოთქმა შექმნა. ყველა კუდიანებს აბრალედა იმ უბედურებას, რომელიც გიას დაატყდა თავს. თვითონ გია გვიციეთ გამხდარიყო, სახე შეშლოდა და არ იცოდა რას სჩადიოდა. გაინე და ბებია სალომე კი მოთქმით და თავ-პირში ცემით დასტიროდნენ დედაშვილის ვაციებულ ვკამს.

პ. დვანელი

მტრადის ფერი თვალნი

(ფუძღვნი ბ-ს)

ერთ ღროს ჩემს ბედსა განაგებდენ გიჟრის თვალნი,
 გულში მხედებოდენ ცეცხლოვანი ისრები მწველი...
 დაიმსხვრა კერპი ესდენ სასტიკ და უღმობელი,—
 დღეს თვალს მტრედის ფრად მოკაქამეს ვეტრფილები!
 ის, სხვას რომ აბამს, თვითაც ებმის გრძნების მსხეში,
 მასში იცინის წრფელი გრძობა დამდნარი ცრემლად:
 წამწამთა რხევა აღბეჭდილა სპეტაკ სარკეში..
 მასში უკვდავ სულის ქანდაკება დასდგმია ძველად!..

კ. ჭიჭინაძე

ოგოლი ვიქრი

დაცალდა ჩემი გული... ღარ მაქვს გრძნობა...
 უიმედობას მწვავე სევდა მტანჯავს... მწვალებს...
 მატურის გრძნებით მომეზარა მწარე თბობა...
 მწარე თბობა... უიმედო, მიხუჭავს თვალებს...
 მიუვარდა ფიქრი... მაგრამ იცინ წაშრთვა სულმა...
 და ესღა მართლად ღვეთი ისე... მარტო ვარ... მარტო...
 შეება და ღვინა... გამოტყუა თბობის წელულმა...
 ადარაფინ შეავს, რომ ეს ტანჯვა მას განუშრტო...
 მიუვარდა ტრფობა... მაგრამ ახლო არფინ მიკრებს...
 სულის სიტურფე ამომშრო ნაველმა მწველმა...
 მაგრამ მე უარბას, ახ უხვად ვინ შემოეფრებს,
 როდესღ გული მომიშხამა მცდურმა გველმა...
 ერთიღა დამჩა... ვხედავ სდგება სამშობლო მსხრე...
 თაფისუფლების აბობქრდა... მინჯარებს ქარა...
 თუ ახლად ბედი მიდღატებს—მას მოგვეღე ბარე,
 რომ არ ვიხილო ჩემი დედა მტარვლისგან მველარი...
 ჟერ კიდევ ვხედავ... რწმენის სხივი ჟერ არა ჭქრება...
 ვხედავ მუჭფრქვევით ამომავალს სიფტსდის მივარეს...
 ვხედავ მოვევლები... ჩემი გუმი მიუბარება
 ტურფად გაფურქნაფის, აფეგებულს სამშობლო მსხრეს.

ი. მონევილი

გაუფურჩქვნელი პარდი

ჩემს ოთახის წინ ვარდის კუკური ამოიწვრა შემოდგომის პირს,
 ფერმიმტრთალია, ვით დილის მთვარე, აცრემლებული მუღამ სტირს და სტირს,
 წითელ ღიმღით არ უთრთის ტუჩი, ვეღარ იზღება, ვერ იფურჩქნება,
 და ქრება ისე, როგორც ჩემს გულში გამოუთქმელი სურვილი, ვნება.
 რა საბრალოა, როცა ყვაილი გაუფურჩქვენლად დაიყვავილებს,
 ოხ, რა მწარეა, ვინც გულშივე კლავს გამოუთქმულად ვნება-სურვილებს.
 ვარდის კუკური მწუმს სუსხი მტანჯავს შენს დასაქნობად ისა-გაწვედილი
 მხეც დაგაქნობდა... მაგრამ ტკილია, რასაც რო ეტრფი მისგან სიყვლილი.

ი. სიხარულიძე

ომში სხსელ-მოხვეწილი



ვარლამ პავლეს ძე მგელაძე

წმიდა გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვრით დაჯილდოებული, ოზურგეთის მახრელია. მონაწილეობდა დასავლეთით მომქმედ ლაშქარში და დიდათ ისახელა თავი გაბედული და მოხერხებული დახერხვით. დაკრილია ფეხში. განკურნების შემდეგ ჯარშივე აპირებს დაბრუნებას



იესო ქრისტე ეკლის გვირგვინით

საპაპოს ნაპვესები

ჩვენში ერთი მოსამსახურე იყო დიდი ლოთი და დიდი მოქრთამე. არცა იქნა გადაყენეს, მაგრამ იმას რაღა ენადღებოდა? წავიდა პეტროგრადს და იქ სცხოვრებდა თავისთვის. ერთხელ ამ გადაყენებულს დიდი წველება ჰქონდა პეტროგრადში და სხვათა რიცხვში, შემთხვევით აქ მყოფი, აკაკიც მოხე-

და.—მასპინძელმა სადილზე ტრაბახი დაიწყო: კავკასიაში რომ ვიყავი, ძალიან უყვარდი ხალხსაო!.. წამოსვლის დროს სადილი გამომარაღა და სახსოვრად საჩუქარიც მომცაო. გამოიტანა საჩუქრად მიღებული აზარფეშა, რომელზედაც კოლონიდის ვერძია იყო დახატული. სტუმრებმა აკითხეს, რას ნიშნავს ეს ვერძი?

აღგეორული ხომ არა არის რაო?—როგორ არაო!—მიუგო აკაკიმ—ჩვენში ახარფემა ლოთობის ემბლემა და ვერძი კი იმას ნიშნავს, რომ ბერძნებმა დიდძალი ფული გაიტანეს ჩვენ ქვეყნიდანო.

ქუთაისში ერთსა და იმავე დროს მსახურებდნენ: ორი ძმა—გვარად პრინცი. ბეკი და კნიაზივე. იმ ხანებში გუბერნატორმა უთხრა აკაკის: რა ახრისა ხარ ჩემ გუბერნიზეო?—დიდი არისტოკრატიული გუბერნიაო მიუგო პოეტმა—აქ სამსახურში ამწესებენ პრინციებს, ბეგებს, კნიაზებს და სიწყალო ქართველისათვის კი აღგილი იღარა რჩებაო.

სამაგალითო სკოლა

სხვა ნაზრად არ შემოძლია მოვიხსენიოთ ეს სკოლა, რომლის შესუერთა კრება შესდგა 1 მარტს.

ეს არის ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლა.

ჩვენ გაღვარებულ ხანაში იშვიათად გვიხსნავს ისეთი საქმიანი, ნამდვილი ქართული დარბაზიური კრება, როგორც ქართველ ქალთა ხსენებული კრება იყო.

სკობდეს ჩვენის ცხოვრების დიდ მნიშვნელოვან საკითხზე—ქართველ დარბაზ ქალთა სწავლა-აღზრდასა და სახელოსნო სწავლებასზე..

მას შემდეგ, რაც ჩვენი ცხოვრების ჩარხის ტარს ხელიდან გამოგვეცვალა და, სხვა ბევრ მოვლენათა შორის, ქალთა მშობლიური სწავლა-აღზრდას და ხელსაქმეში გაოსტატების საფუძველიც შეირა და ქალნი ზურგელ განათლებას გავჭეუნებ, ქართველი მეოჯახე ქალიც სანაღობო საძებრო შექმნა, იმატა მოცუნდრუკე უსაქმურ ქალთა რიცხვსა და ოჯახის დედაბოძი ძნელი საზოგადოება გახდა,— ქართული ოჯახის კერა გაცოვდა... რა ოჯახის შექმნა შეუძლიან იმ ქალს, რომელსაც არც ერთეულ ნიანდაგზე დაფუძნებული გონებრივი განვითარება აქვს, არც სელსაქმისა და ოჯახის მოვლის ცოდნა?.. ამიტომაც არის ჩვენი ხალხი ნივთიერად და გონებრივად ჩამორჩენილი, რომ მის დედებს აღარ მოსდგამთ ოჯახის მოვლა-პატრონობის ძალა..

მალაღი წოდების ქალნი თუ თვისი გვაროვნობით, მშობით თუ საშუალო სწავლანათლებების დიპლომით იკვლევდნენ და იკვლევნ ცხოვრების გზას, საშუალო და დაბალი წოდების ქალნი—მდაბიო ხალხის შვილები ამ მხრით დიდს გაჭირვებას განიცდიდნენ და განიცდიან..

ხალა ჩვენი არსებობის საფუძველი რომ მდაბიო ხალხსა და განსაკუთრებით მისი დედათა სქესა—ქალები, ეს ვიდაძმ არ იცის..

სწორედ ამ გარემოებას მაქცია უურადღეება ამ ოცე წლის (1895 წ.) წინაღ მოწინავე ქართველ ქალთა მცირე ჯგუფმა, შეგარბა ცოტაადენი ფული და 1897 წ. 7 მარტს მატარს სამკერვალო განსხნ ძველებურ ქართული ხელსაქმის აღზადენად. საქმის დასრულებად მოწვევის ჩვენი საეგარული მწერალი ქალი ეპ. რეგ. გაბაშვილისა *). სამკერვალომ მალე სკოლის ელფერი მიიღო, დაზრდა ოთხგანეთიფილებიანი სკოლა და დღეს ეი უგეგ სეთ განვითარებისაგან შესდგება. მოწვეუნი ზნარველ სამ წელი წინ სწავლობდნ უოველხანარ ხელსაქმისა და თეთრეულობის კერვას; ავრდველ საქმრო სავნებს—ქართულს, რუსულს, ანგარბს, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნების მეტეოლოგებს, ხატვასა და სიმღერას. ეგარბში ერთხელ სკოლაში იმართულ ბუნდავან სურათებანი ვითხვან (უკანასკნელ კრებულზე არხველ იქმნა კომისია ლექციების მოსაწყობად, დაზარხნ ორ წელიწადს მოწვეუნი სწავლობდნ ეფესსემელის, ვორსეტებისა და კაბების ჭრა-კერვას თეთრეულად და მრატეოეულად სკოლასთან არსებულ სამკერვალოში. ქართ. ქალ. საქ. საზ.-ის მიხანდა აქვს გაავრცელები მრთეფისთანდური ცოდნა და ამასთან ჯადღვიონს ძველებური ხელსაქმე“.

სკოლის დაარსებიდან 1912 წლამდე სკოლას 975 მოსწავლე ჰყოლია (650 ფასიანი, 325 უფასო). მარველი ექვსი წლის განმავლობაში სწავლის დაშორებების მოწმობა მიუღია. 120 ქალს, შემდეგ-ეი სახელოსნოს მართებლობის შემოსწუმით ატესტატები მიუღია 312 მოწვეუ ქალს. ამ სკოლაში კერს დამთავრებულთ, ამ ატესტატების ძალით, უფლება აქვთ მრთეფე-

*ქუთაისელობოთ ე.კ. საქ. საზ.-ის. ანგარბი“ -თ

სიონაღური სკოლები და სამკერვალოები გახსნან. ამ სკოლაში ნასწავლი პრინციპისაღიღური სკოლები და სამკერვალოები დაურსები:თ სოფ. ვაქირში, ხაშში, ხირსაზე, სკარეჯოში, თბილისში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, კორში და სს. ამავე „გზანთმადან“ ვტობა-ლოთი, აგრედე, რომ ამ სკოლაში სწავლა-დამთავრებულნი ბევრ სამრეწველო, სავაჭრო თუ სხვა დაწესებულებაში მისახურებენ და სხვა და სხვა სასწავლებელში სწავლობენ. ზოგს მათ განს სწავლა დამთავრების რუსეთის საქსოვ ქარხანაში.

ჩვენი მთვისებინეთ ამ სკოლის მოწვევით გაკეთილი, ვახეთ მათი ნახელსაქვე, დავესწარით აგრედე ამ მოწვევით მიერ გამართულ ეკიის სათარბოც სვამოს (8 მარტს), რომე-მაც დამსწრები ატანებაში მიიყვანა, და დურ-წმინდით, რომ ქართველ ქალთა ნაშრომი ფრ-ად დიდია, სპატიო და ნაყოფიერი. ამ სკო-ლაში სწავლა დამთავრებულ ქალთა მოწველო-ბით ბევრი ოჯახი გამართება წელში, სწავ-მართო გზას დაადგება; ბევრი სწავლებს ქუჩას და ცხოვრების მეტ ბრების და შექვახორას მიკერ ნამდვილ დედა-მუშაკად და საზოგადოე-ბის სასარგებლო წევრად შეიქმნება.

და ეს კი მეტად დიდი სიხუთაა...
